განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 61-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა თანახმად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო გახდება უფლებამოსილი ორგანო ბავშვის გადაცემასთან ან შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ცვლილება იმგვარად, რომ მათ შორის ამ საკითხზე სააღსრულებო წარმოების ჩატარება ყოფილიყო აღსრულების ეროვნული ბიუროს კომპეტენცია.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები შესაბამისობაში მოვიდეს „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 61-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან და განისაზღვროს ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების თავისებურებანი.

ა.გ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტის მიხედვით, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 61-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო გახდება უფლებამოსილი ორგანო ბავშვის გადაცემასთან ან შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.

ამდენად, წარმოდგენილი კანონის პროექტის მიხედვით, იცვლება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და განისაზღვრება, რომ მათ შორის ამ საკითხზე სააღსრულებო წარმოების

ჩატარება წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს კომპეტენციას. კანონის პროექტითვე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატება 89[1] მუხლი, რომელიც დაადგენს ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულების თავისებურებებს.

კანონის პროექტის ამოქმედებისთვის განსაზღვრულია 2021 წლის 1 იანვარი, ისევე, როგორც „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის პროექტისთვის. ამ დროისთვის კი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმოებაში არსებული, ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმეები გადაეცემა ამ საქმეთა აღსრულებაზე უფლებამოსილ აღსრულების ეროვნული ბიუროს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტზე და გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას. კერძოდ, ბავშვის გადაცემასთან ან შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ სასამართლო გადაწყვეტილებას აღასრულებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც სხვა სახის მომსახურებებთან ერთად, აღასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებასაც ამ ტიპის საქმეებზე. სააგენტოს სოციალური მუშაკები მუშაობენ სხვადასვა ტიპის საქმეებზე, მათ შორის, ამ ტიპის საქმეებზე და ამდენად, სააგენტო არ აწარმოებს ხარჯთაღრიცხვას იმ კუთხით, თუ რა ოდენობის ხარჯი არის გასაწევი ამ ტიპის ერთი საქმის აღსრულებისთვის. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, სააგენტოს მოაკლდება საქმეების რაოდენობა და 2021 წლიდან გადაეცემა აღსრულების ეროვნულ ბიუროს. კანონის პროექტით მოხდება სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის საქმეთა შემცირება, ხოლო ეს ნაწილი გადავა აღსრულები ეროვნულ ბიუროზე, რომელსაც დასჭირდება დამატებითი ადამიანური რესურსი.

ის, თუ რა რაოდენობით უნდა მოხდეს სოციალური მუშაკების რაოდენობსი ზრდა საჯარო დაწესებულებებში, საუბარია „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის პროექტის განმარტებით ბარათში. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სისტემაში დასაქმებულია 23 სოციალური მუშაკი, რომელთა ყოველთვიური საშუალო ხელფასი შეადგენს 900 ლარს, რისთვისაც ყოველწლიურად ხელფასისთვის საჭიროა დაახლოებით 248 000 ლარი. სოციალური მუშაკების დატვირთვის გათვალისწინებით და მათი საქმიანობის ანალიზის შედეგად,

გამოიკვეთა საჭიროება, რომ სისტემაში მოხდეს ჯამში 30 სოციალური მუშაკის დამატება, კერძოდ, 2020 წლისთვის 10 სოციალური მუშაკი, 2022 წლისთვის დამატებით 10 სოციალური მუშაკი და 2024 წლისთვის დამატებით 10 სოციალური მუშაკი. მათი რაოდენობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკთა ხელფასების ზრდა და ამგვარად, მათი სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება. 2020 წლისთვის საშუალო ხელფასის ზრდა უნდა მოხდეს 1200 ლარამდე, 2022 წლისთვის 1500 ლარამდე, ხოლო 2024 წლისთვის 2000 ლარამდე. სოციალური მუშაკების რაოდენობის მატების პირველ ეტაპზე, 2020 წლისთვის, მათი რაოდენობა გახდება 33, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი 1200 ლარი, რის გამოც ამ და მის მომდევნო წელს სახელფასო ფონდზე გამოსაყოფი იქნება წლიურად 475 000 ლარი. 2022 წლისთვის მუშაკთა რაოდენობა გახდება 43, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი გახდება 1500 ლარი, რისთვისაც ამ და მის მომდევნო წელს გამოსაყოფი იქნება წლიურად 774 000 ლარი. 2024 წლისთვის მუშაკთა რაოდენობა გახდება 53, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი გახდება 2000 ლარი, რისთვისაც ამ წელს და შემდგომ პერიოდში გამოსაყოფი იქნება წლიურად 1 272 000 ლარი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის დასამატებელი 30 სოციალური მუშაკებიდან ნაწილი დასაქმედება სწორედ აღსრულების ეროვნული ბიუროში და ისინი მოახდენენ ამ საქმეთა აღსრულებას. აღნიშნულის ფინანსური ხარჯები კი მოქცეულია იმ ხარჯებში, რომლებიც ითვალისწინებენ სამინისტროს სისტემაში სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტს ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კერძოდ, სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ამ ამ ტიპის საქმეების აღსრულებაზე უფლებამოსილების ჩამორთმევით, ეს უფლებამოსილება გადაეცემა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომელსაც დასჭირდება დამატებითი ადამიანური რესურსი. კანონის პროექტის მიღებას უნდა მოჰყვეს იუსტიციიის სამინისტროს სისტემაში და შესაბამისად, აღსრულების ეროვნულ ბიუროშიც სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდა, რათა მათ შეძლონ ამ ტიპის საქმეთა აღსრულება. სისტემაში სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდისა და სავარაუდო ფინანსური ხარჯების შესახებ კი საუბარია განმარტებითი ბარათის „ბ.ა.“ ქვეპუნქტში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, რადგან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს

გამოუთავისუფლდება საქმეები ამ ტიპის საქმეთა აღსრულებაზე და გადაეცემა აღსრულების ეროვნული ბიუროს. შესაბამისად, ახალი ფინანსური ვალდებულებები დაკავშირებული იქნება ბიუროსთვის ადამიანური რესურსით უზრუნველყოფასთან, რომელიც მოხდება იუსტიციის სამინისტროს სისტემაში სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდის ფარგლებში.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტის არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკაშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ფრიდრიხ-ებერტის ფონდი

ექსპერტი - ანა ფირცხალაშვილი („დემოკრატიის განვითარების სააგენტო“)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

კირსტინ ფუსანი - განათლების, ახალგაზრდობისა და ოჯახის საკითხების მიმართულების ხელმძღვანელი, ბერლინის თვითმმართველობა

სვენია კეტელსენი - უსახლკარო ქალთა მიმართულების ხელმძღვანელი (DBSH e.V. Landesverband Berlin).

გაეროს ბავშვთა ფონდი

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

სოფიო კილაძე, რატი იონათამიშვილი, ლევან ბეჟანიძე, ირაკლი ბერაია, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, სავალან მირზოევი, დიმიტრი მზეიძე, ანრი ოხანაშვილი, მერაბ ქვარაია, დიმიტრი ცქიტიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

სოფიო კილაძე, რატი იონათამიშვილი, ლევან ბეჟანიძე, ირაკლი ბერაია, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, სავალან მირზოევი, დიმიტრი მზეიძე, ანრი ოხანაშვილი, მერაბ ქვარაია, დიმიტრი ცქიტიშვილი.